COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ

აგვისტო 2023

http://www.mc.edu.ge

შინაარსი

- საკვლევი საკითხი და კველვის მიზანი
- კვლევის მთავარი ამოცანები
- კვლევის მეთოდოლოგია
- თემის აქტუალობა
- კვლევის შერჩევა
- კვლევის მონაცემები
- რეკომენდაციები

საკვლევი საკითხი და კვლევის მიზანი

შპს მარნეულის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის საკითხია სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა

კვლევის მიზნებია:

- პროფესიულ სტუდენტთა სასწავლებლის კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;
- პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათებლო პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;

კვლევის მთავარი ამოცანები

- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება;
- კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება;
- საგანმანათებლო პროგრამების შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება;
- კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება;
- პროფესიული მასწავლებლის შეფასება;
- საწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კვლევის განხორციელების მომენტისთვის კოლეჯის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები

კვლევის მეთოდად შერჩეულია რაოდენობრივი კვლევა და გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი

თემის აქტუალობა

- პროფესიულ საგანამათებლო დაწესებულება მუდმივად უნდა ზრუნავდეს კოლეჯის განვითარებაზე რათა იყოს კონკრენტუნარიანი, აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტებს და უზრუნველყოფდეს დამსაქმებლის და დაწესებულებით მოსარგებლის ინტერესებსა და მოთხოვნებს;
- სტუდენტების უკუკავშირი კოლეჯთან, პროფესიულ განათლებასთან, საგანმანათებლო პროგრამასთან და პროგრამის განმახორციელებლეთან, ავლენს იმ საჭიროებებს და ხარვეზებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის გაუმჯობესებას;

კვლევის შერჩევა

- შერჩევა განხორციელდა კოლეჯის ბაზიდან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებიდან;
- კვლევამ მოიცვა თითოეული პროგრამის სტუდენტების მინიმუმ 80%;
- კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 142 სტუდენტმა;
- კვლევა განხორციელდა ელექტრონულად;

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე სტუდენტების ასაკობრივი მაჩვენებელი მოიცავდა 17 – 60 წლამდე:

- 17-დან - 18 წლამდე სტუდენტების რაოდენობა არის 3, ყველა სწავლობს ინფორმაციის ტექნოლოგიებზე;
- 18–25 წლამდე - 53 სტუდენტი, მათი გადანაწილება საგანმანათებლო პროგრამებზე არათანაბარია;
- 26 – 35 წლამდე - 43 სტუდენტია, მათი გადანაწილება საგანმანათლებლო პროგრამებზე არათანაბარია;
- 36 წლიდან ზემოთ - 43 სტუდენტი, მოიცავენ სამ პროგრამას: აღმზრდელი, საექთნო განათლება, ფარმაცია.

კვლევის მონაცემები

ზოგადი ინფორმაცია

სქესის მიხედვით სტუდენტთა განაწილება დამოკიდებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების შინაარსობრივ მხარეზე, კერძოდ კოლეჯის 11 მამრობითი სქესის სტუდენტებს შორის, 8 სტუდენტი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამაზე, 2 ფარმაცია, და 1 საექთნო განათლება.

კვლევის მონაცემები

ზოგადი ინფორმაცია

სტუდენტების დასაქმების სფერო პროგრამების მიხედვით



დასაქმებულია 85 სტუდენტი, მათ შორის 57 პროფილურად, 12 კი მონათესავე სფეროში

http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

ზოგადი ინფორმაცია

სტუდენტების მიერ დასახელებული მიზეზები რაც ხელს უშლის მათ დასაქმებას



http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

ზოგადი ინფორმაცია

კვლევის ფარგლებში სტუდენტებთან მოხდა ჩაკითხვა თუ რატომ აირჩიეს პროფესიული განათლება და კონკრეტულად კი ის პროგრამა რომელზეც სწავლობენ, ოთხივე პროგრამის შეთხვევაში მათი უმეტესობა ასახელებს, რომ სურთ თავიანთი პროფესიით მუშაობის დაწყება, პროფესიული განათლება კი მათთვის არის ხელმისაწვდომი ხდა რეალური შედეგის მომცემი.

კვლევის მონაცემები

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

კოლეჯის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, სტუდენტების მიერ გამოყენებული საშუალებები



http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- 129 სტუდენტი იცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს
- 3 სტუდენტი აცხადებს, რომ იცნობს კოლეჯის 7 წლიან სტრატეგიულ და 1 წლიან სამოქმედო გეგმებს, 2 მათგანი იძლევა ზუსტ განმარტებას რასაც დასახელებული დოკუმენტები მოიცავს.

პროფესიული სტუდენტების მონაწილების სურვილის მაჩვენებელი კოლეჯის მნიშვნელოვან სამუშაო პროცესებში



http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

პროფესული სტუდენტების მიერ კოლეჯის შინაგანაწესის შესახებ მიღებული ინფორმაციის გზები და პერიოდი



გამოკითხულთაგან 59.2% (84) სტუდენტი ამბობს რომ იცნობს კოლეჯის შინაგანაწესს, მათგან მხოლოდ 3 ვერ დაასახელა რა შინაარსის ან ინფორმაციის მატარებელია შინაგანაწესი,

კვლევის მონაცემები

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- 113 (80%) სტუდენტმა იცის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის წესი და მათგან თითქმის უმრავლესობის მიერ მოხდა კონკრეტული გარემოებების დასახელება
- კვლევაში მონაწილე თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა (141 სტუდენტი) აცხადებს, რომ ფლობს ინფორმაციას პროგრამის შესახებ, რომელზეც სწავლობს
- სტუდენტებმა სრული სიზუსტით დაასახელეს პროგრამის ხანგრძლივობა და კვალიფიკაცია, რაც მათ მიენიჭებათ პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ
- საკომუნიკაციო საშუალებებად დასახელდა ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელი, ზოგიერთ შემთვევაში სატელფონო და პირისპირ კომუნიკაციაც.

კვლევის მონაცემები

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

კოლეჯის მიერ სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ განხორციელებული აქტივობები



http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

<u>კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება</u>

- კარიერული დაგეგმვის და პროფორიენტაციის მიმართულება - სტუდენტთა 68 % აცახდებს რომ მან სრულყოფილი ინფორმაცია მიიღო საპროფორიენტაციო კონსულტაცია, 26 % კი არ საჭიროებდა მსგავს კონსულტაციას;
- კვლევაში მონაწილე სტუდენტთა 77% (109) აცხადებს რომ მან იცოდა მონ კოლეჯის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიების შესახებ და ასახელებენ ღონისძიებებს;
- მხოლოდ 20 მათგანს აქვს უშუალო მონაწილეობა მიღებული დასახელებული ღონისძიებების განხორციელებაში.

კვლევის მონაცემები

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებით 95 სტუდენტი აცხადებს, რომ ვაკანსიებთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება კოლეჯის ვებ-გვერზე და სოციალურ გვერდზე, დასახელდა სხვა გზებიც - საინფორმაციო დაფაზე განთავსება და ელექტრონულ მისამართებზე ინფორმაციის მიღება



კოლეჯის მიერ დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გზები

http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

ურთიერთობის ფორმები, რომლითაც სტუდენტებს შეუძლით კოლეჯის ადმინიტრაციას მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების და სურვილების შესახებ



კვლევის მონაცემები

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

სტუდენტთა მოლოდინები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით



- სტუდენტთა თითქმის ურმავლესობას (114 სტუდენტს) ჰქონდა მოლოდინი, რომ მიიღებდა ხარისხიან პროფესიულ განათლებას
- 128 სტუდენტის მოლოდინები მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც გამართლდა

http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

- სტუდენტთა თითქმის უმრავლესობამ 9 და 10 ქულით შეაფასა პროგრამის განხორციელების ხარისხი;
- 110 სტუდენტი თვლის, რომ მოდულის სწავლებისას მასწავლებლის მიერ გამოყენებული დავალებები სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობს შეესაბამება;
- 141 სტუდნეტის მიერ დასახელდა რომ თემები/საკითხები არ შეხვედრიათ, რაც შეისწავლეს, მაგრამ არ საჭიროებდნენ;
- 130 სტუდენტმა 9 და 10 ქულაზე შეაფასა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები;
- 138 სტუდენტი ეთანხმება, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია ყოველთვის ეხმარება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით

კვლევის მონაცემები

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება

- 142 სტუდენტი კმაყოფილია კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემით;
- აბსოლიტური უმრავლესობა აცხადებს, რომ შეფასების სისტემა აძლევს მათ საშუალებას გამოვალინონ შეძენილი ცოდნა და უნარები.
- 141 სტუდენტი თვლის, რომ კოლეჯში მოქმედი შეფასების ფორმა და მეთოდები არის ობიექტური.

სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების პროცესებთან დაკავშირებით



http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

<u>პროფესიული მასწავლებლის შეფასება</u>

სტუდენტთა თითქმის აბსოლიტურმა უმრავლესობამ 21 დებულებაზე, მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დროს გამოვლენილი ქმედებების, სწავლების ფორმების, მიდგომების და ა.შ. შესაფასებლად მიმართულ დებულებებზე დააფიქსირა „ვეთანხმები“;

მაშინ, როდესაც ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ პროცესზე დასწრების შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ მასწავლებლები ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით საჭიროებენ მეთოდურ/პრაქტიკულ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს

კვლევის მონაცემები

სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება

სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი სასწავლო რესურსით და აღჭურვილობით



მონაცემების მიხედვით კვლევაში მონაწილე თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს სასწავლო რესურსთან, აღჭურვილობასთან, მასალასთან და დამატებით მასალასთან მიმართებით

კვლევის მონაცემები

კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება



სტუდენტების მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასების მაჩვენებელი

სტუდენტების მიერ გამოიკვეთა, რომ თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა თავს გრძნობს დაცულად;

კოლეჯში დადებითად აფასებს სანიტარულ -ჰიგიენურ ნორმების დაცულობას და უსაფრთხოების ნორმებს სასწავლო პროცესის დროს, კოლეჯის გათბობის საკითხს ადასტურებს 141 სტუდენტი

http://www.mc.edu.ge

კვლევის მონაცემები

კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

- სტუდენტების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ არ იყენებს კოლეჯის ბიბლიოთეკას (83 სტუდენტი), ხოლო 59 მათგანი ამბობს, რომ იყენებს და ასახელებს კიდეც გამოყენების შემთხვევებს;
- სტუდენტები სარგებლობენ როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული რესურსით;
- ბიბლიოთეკას იყენებენ, როგორც მოდულებში შემავალი საკითხების უფრო დეტალურად გასაცნობად, ასევე პრეზენტაციების მოსამზადებლად;
- მათ შესაძლებლობა აქვთ გარკვეული ვადით გაიტანონ სახელმძღვანელოები და ასევე ბიბლიოთეკის რესურსით ისარგებლონ ადგილზევე.

კვლევის მონაცემები

კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

- თითქმის უმრავლესობა სტუდენტებისა ეთანხმება ან ნაწილობრივ მაინც ეთანხმება ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების ხელმისაწვდომობას;
- სტუდენტების მიერ დადებითად შეფასდა კოლეჯის ვებ-გვერდის და სოციალური გვერდის ინფორმატიულობა;
- 118 სტუდენტმა არ იცის რა შემთხვევაში შეუძლია სტუდენტს ინდ. სასწავლო გეგმით სწავლა,
- 24 სტუდენტიდან, მხოლოდ 16 სტუდენტი ახერხებს კოლეჯის რეგულაციების მიხედვით ერთი გარემოების დასახელებას მაინც, თუ რა შემთხვევაში სწავლობს სტუდენტი ინდ.გეგმით.

რეკომენდაციები

- პროფესიული განათლების შესახებ ცნობადობის ამაღლება და პროფესიული განათლებით დაინტერესების მაჩვენებლის გაზრდა 16-26 წლის ახალგაზრდებში;
- სტუდენტების მხრიდან ინიციატივების წახალისების მიზნით ღონისძიებების გატარება;
- კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა კოლეჯის 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში;
- კოლეჯის მიერ სტუდენტებისთვის არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის დროს სტუდენტების ინტერესების გამოკვლევა და გათვალისწინება;
- სტუდენტური ინიციატივების, შეფასების აპელაციისა და მასწავლებლის სიღრმისეული შეფასებისთვის კვლევის ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა.